

ოფშორული კომპანიების სამართლებრივი სტატუსი და მათი საქმიანობის
რეგულირება საქართველოს საკორპორაციო სამართლის მიხედვით

თამარ სამნიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი კალანდაძე, სამართლის დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის საკვლევ თემას საკორპორაციო და საინვესტიციო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, ოფშორული კომპანიების სამართლებრივი სტატუსი და საქართველოს საკორპორაციო სამართლის მიხედვით მათი საქმიანობის რეგულირება წარმოადგენს.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ არაერთი ოფშორული ზონა შეიქმნა, რომლებიც წარმატებით ფუნქციონირებენ, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოში არსებულ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებზე. საქართველომ ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან დაიწყო დამოუკიდებელი ეკონომიკის აღდგენის პროცესი, სადაც ბოლო წლებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი სწორედ თავისუფალი ეკონომიკურ ზონების შექმნას მიენიჭა. დღესდღეობით, ქვეყნის კანონმდებლობა არაერთი ნორმატიული აქტით ცდილობს ამ სფეროს რეგულირებას, თუმცა არსებული ოფშორული ზონები უცხოური ინვესტიციებისათვის მაინც არამიმზიდველად გამოიყურება.

სწორედ ამ თვალსაზრისით, კვლევის შედარებითი-სამართლებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით ნაშრომში გაანალიზებული იქნება ოფშორული ბიზნესისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა საშელავათო პირობები, თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსი და მისი არსებობის უპირატესობები. წარმატებული ოფშორული ზონის მქონე ქვეყნების პრაქტიკული და თეორიული მაგალითების ურთიერთშეჯერების ფონზე გამოკვეთილი იქნება საქართველოს საკონონმდებლო ხარვეზები, მათ შორის ყურადღება გამახვილდება საქართველოს თავისუფალ ტურისტულ ზონებში ინვესტორთა საკუთრების უფლების შეზღუდვაზე და მიმდინარე საკონსტიტუციო ცვლილების პაკეტზე.

აღნიშნული საკითხების განხილვა და გაანალიზება მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, ვინაიდან ის ხარვეზები და სირთულეები რაც საქართველოში ინვესტიციების მოზიდვას, თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირებას აფერხებს სწორი შეფასების

და ანალიზის შედეგად უნდა იქნეს აღმოფხვრილი შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირებით.

Abstract

The researched theme of presented dissertational topic represents one of the important issue of Corporation and Investment Law, in particular , legal status of off-shore companies and their activity regulations depend on Georgian Corporation Law.

Following of world economy development, there were established a lot of off-shore zone, which functions successfully. Unfortunately, we couldn't say the same about Georgian Free Economic Zone. Georgia begun restoring process of independent economy since 1990 year. In the last years one of the most important role in renewal process was to create Free Economic Zone. For today national legislations tries to regulate this sphere with several statutory act, but existing off-shore zones are still unattractive for foreign investment.

Depend on this point of view, methodology of legal thought and researches will analyze in this issue topics about lessening terms and conditions for off-shore business, essence of free economic zone, their profitability and advantages.

At the background of the practical and theoretical examples of successful off-shore countries we should give evidence about Georgian legislative gaps. We should be attentive about investors restriction of propriety in Georgian touristic zones and variations of Constitutional Law.

Discussion of represented issue at first is important for development of Georgian economy, on the other hand it's significant to correct existing legislation blank which obstructing the economic development and bringing of investments. Its inevitable to estimate and analyze all problems to make legislation regulatory flawless.